

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველის  
საბჭოს დადგენილება

(დამტკიცებული თავად გოლიცინის მიერ; 1904 წ. 1 მაისი)

დედანს აწერია:

„ვამტკიცებ: თავადი გოლიცინი“

1904 წლის 1 მაისი

დედანთან სწორია:

განყოფილების უფროსის მოვალეობის

შემსრულებელი

(ზელმოწერა)

ჟურნალი

კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველის საბჭოსი  
1904 წლის 1 მაისი

№ —————

თავმჯდომარეობდა:

მთავარმმართველის თანაშემწე, ინფანტერიის გენერალი  
ალექსანდრე ალექსანდრეს ძე რეზე

ესწრებოდნენ:

საბჭოს წევრები

საიდუმლო მრჩევლები:

კავკასიაში მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრის  
რწმუნებული იაკობ სერგეის ძე მედვედევი, ნიკოლოზ ივანეს ძე პრიბილი, უსტინ  
ვასილის ძე მიცკევიჩი;

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ვასილი გავრილის ძე უსტრუგოვი,  
გენერალური შტაბის კანცელარიის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ონუფრის  
ძე ტროფიმოვი.

განსაკუთრებული მოწვევით:

კანცელარიის უფროსის თანაშემწე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მაქსიმოვი

არ ესწრებოდნენ:

საიდუმლო მრჩეველი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე კრიმიგირევი — თბილისში  
არყოფნის გამო; სენატორი, საიდუმლო მრჩეველი სტეფანე ბორისის ძე ვრასკი —  
ავადმყოფობის გამო.

მოისმინეს: კავკასიის მხარის სამხედრო-სახალხო მართვის დარგში  
მთავარმმართველის კანცელარიის ა.წ. 12-15 მარტის № 16 მოხსენებითი ბარათი

სოხუმის ოლქში მცხოვრებთა: თევდორე ტიმოთეს ძე სახოკიას, ანთიმოზ ივანეს ძე ჭულელის, ივანე კონსტანტინეს ძე გეგიას, გრიგოლ ივანეს ძე კანდელაკის, ივანე გაბრიელის ძე ბურჭულაძის, ფარნა ნიკოლოზის ძე დავითაიას, სპირიდონ ლევანის ძე ნორაკიძისა და კერძო მეურვე აკაკი ჩხენკელის ოლქის მოსახლეობის გასარუსებლად მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ხელის შეშლელთა, პოლიტიკური კეთილსამედობის გამოკვლევისა და მათ წინააღმდეგ ზემოქმედების ადმინისტრაციულ ზომათა მიღების შესახებ, აგრეთვე კანცელარიის მიერ წარსულ 30 აპრილს წარმოდგენილი №2941 ცნობის მონაცემები აკაკი ჩხენკელის საზოგადოებრივი წესრიგისათვის მავნე მიმართულობის შესახებ.

რეზოლუცია: საბჭო მოსმენილი კანცელარიის № 16 მოხსენებით ბარათსა და № 2941 ცნობაში აღნიშნული წინამდებარე საქმის გარემოებების [საფუძველზე] სცნობს, რომ სოხუმის ოლქში საცხოვრებლად შემდგომი დატოვება ოლქის მცხოვრებლებისა: თევდორე ტიმოთეს ძე სახოკიასი, ანთიმოზ ივანეს ძე ჭულელისა, ივანე კონსტანტინეს ძე გეგიასი, გრიგოლ ივანეს ძე კანდელაკისა, ივანე გაბრიელის ძე ბურჭულაძისა, ფარნა ნიკოლოზის ძე დავითაიასი, სპირიდონ ლევანის ძე ნორაკიძისა და კერძო მეურვე აკაკი ჩხენკელისა უეჭველად მავნე იქნება საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდისათვის.

საბჭო მიიჩნევს, აეკრძალოთ მათ კავკასიის მხარის ფარგლებში ცხოვრება აკრძალვის ვადის მიუთითებლად, 1897 წლის 3 მარტის მმართველი სენატისადმი გამოცემული უმაღლესი სახელობითი ბრძანებულების საფუძველზე.

ამასთანავე, ითვალისწინებს რა კანცელარიის მოხსენებით ბარათში წარმოდგენილ ცნობებს იმის შესახებ, რომ სოხუმის ოლქში დანიშნული ღვთისმსახურნი, როგორც ხალხთან ახლომდგომი პირნი, ვალდებულნი არიან, თავიანთი სულიერი დარიგებებით ხელი შეუწყონ ხელისუფლებას ოლქში რუსული მოქალაქეობის განმტკიცებას, ხშირად თავიანთი საგანმანათლებლო ცენტრის დაბალი ღონის, რუსული ენის უცოდინრობისა და ამასთან ერთად უკიდურესი პოლიტიკური არაკეთილსამედობის გამო არამცთუ არ თანაუგრძნობენ ოლქის მოსახლეობის უსწრაფესი გარუსებისაკენ მიმართულ მთავრობის სასიკეთო ღონისძიებებს, არამედ თავის მხრივ ამჟღავნებენ მათ საწინააღმდეგო ქმედებებსაც კი. საბჭომ აუცილებლად მიიჩნია, ხსენებულ პირთა ამგვარ ქმედებათა შესახებ აცნობოს საქართველოს ეგზარქოსს და განსახილველად გადაუგზავნოს მის მაღალუწმინდესობას უკვე მოსმენილი კანცელარიის მოხსენებითი ბარათის დედანი სათანადო ხელმოწერებითურთ.

დედანთან სწორია:

განყოფილების უფროსის მოვალეობის

შემსრულებელი

(ხელმოწერა)

(რუსული ორიგინალი პირველად გამოსცეს ვ. გურულმა და ა. სილაგაძემ.  
რუსულიდან თარგმნა თ. გვანცელაძემ).